ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 პარასკევი, 22 ივნისი № 1502

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27, და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. **ტელეფონი № 372.**

ყოველ დღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
პირველ ივლისიდან წლის დამლევამდის ღირს **3** მან. და **50** კაპ.
ცალკე ნომერი ღირს 3 კაპეიკად.

ტფილისის კერძო
სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,
კვირა უქმეების გარდა,
დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მიხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრობით — 9—10 ს.

ნ. ა. მულიხი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 11—12 საათამდე.

ი. ზ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—12 საათამდე.

ა. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 საათამდე.

მ. გ. ფედოროვი შინაგანი და საბავშვო — 1 საათ. 2-მდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სდოსტაქრო — $12^1/_2$ — $1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და საშარდესი — $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5—6 საათამდე.

ა. ა. ბელდოგლოვი. — შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. — 5—6 საათზე.

გ. მაღალაშვილი — კვირაობით — 10—12 ს. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ).

მთავრობის განკარგულებანი

საქველ მოქმედო ლატარიების ახალი წესები.

§ 1. ლატარიის გამართვის ნებართვა ეძლევა მხოლოდ საქველ მოქმედო საზოგადოებებს და დაწესებულებებს, რომელნიც არსებობენ კანონის ან დამტკიცებულ წესდების ძალით.

§ 2. არ ეძლევათ ლატარიის გამართვის ნება საქველ მოქმედო დაწესებულებათ, რომელნიც ექვემდებარებიან ქალაქს, ერობას და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებას, რომელთაც უფლება აქვთ ხარჯის დასაფარავად გადასახადი შემოიღონ.

შენიშვნა. უწმიდესის სინოდის ახსნით საეკლესიო სამზრუნველოებს არ აქვთ უფლება ლატარიის გამართვისა.

§ 3. ომიანობის ან სხვა განსაკუთრებულ უბედურების დროს (ცეცხლი, წყალდიდობა, მოუსავლობა, მოდებულ ავათმყოფობა და სხვა), თუ სხვა საშუალება არ არის, ლატარიის ნებართვა ეძლევა არა მარტო საქველ მოქმედო დაწესებულებათ, არამედ თანამდებობისა და გავლენიან კერძო პირებსაც.

§ 4. პირველ პარაგრაფში აღნიშნულ საქველმოქმედო დაწესებულებათ ეძლევათ ლატარიის გამართვის ნება მაშინ, თუ დაწესებულება არსებობს არა ნაკლებ სამის წლისა და მას არ შეუძლია დაფაროს ხარჯი საკუთარის საშუალებით.

§ 5. ლატარიის ჯამი ერთის წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს დაწესებულების წლიურ ხარჯის ერთ მესამედს და ყოველს შემთხვევაში არ უნდა იქნეს 1500 მანეთზე მეტი.

§ 6. შუამდგომლობა ლატარიის გამართვისა უნდა წარედგინოს ადგილობრივ გუბერნატორს; შუამდგომლობასთან ერთად გუბერნატორს უნდა გაეგზავნოს დაწესებულების უკანასკნელ 3 წლის ანგარიში. თხოვნაში აღნიშნულ უნდა იყოს, თუ როდის, რამდენს და რა პირობებში აპირებენ ლატარიის გამართვას. გუბერნატორი ყველა საჭირო ცნობების შეკრების შემდეგ შუამდგომლობას თავის აზრის ზედ-დამატებით წარადგენს შინაგან საქმეთა სამინიტროში.....

§ 7. სამინისტროსაგან ნებართვის მიღების შემდეგ, გუბერნატორი განსაზღვრავს ლატარიის გათამაშებას და კანტროლის წესს.

შენიშვნა. ლატარიის გათამაშება შეიძლება მხოლოდ იმ გუბერნიაში, სადაც არსებობს ნებართვის ამღები დაწესებულება, მაგრამ ეს §-ი არ ეხება იმ დაწესებულებათ, რომელთა მოქმედება გავრცელებულია რამდენსამე გუბერნიაზე.

(დასასრული იქნება)

სამხედრო უწყებას:

პოდპორუჩიკებს ხელაშვილს და საგინაშვილს ებოძათ პორუჩიკობა.

ვლადივასტოკის მეციხოვნე არტილერიის კაპიტანს ალექსანდრე ქავთარაძეს ებოძა წმ. სტანისლავის მეორე ხარისხის ორდენი ხმლით, ხოლო სტანისლავის მესამე ხარისხის ორდენი ებოძათ მე-8 მსროლელთა პრიამურის პოლკის კაპიტანს ილია ჩხიკვიშვილს და პოლტავის კადეთა-კორპუსის აფიცერს-აღმზრდელს შტაბს-კაპიტანს კონსტანტინე მახვილაძეს.

სამოქალაქო უწყებას:

დანიშნულ იქმნა ქვემო მაჩხაანის კერძო ქსენონის გამგე თავ. ალექსანდრე დიასამიძე თიონეთის მაზრის მკურნალად.

დერბენტის ქალაქის პოლიციის ბოქაულის თანაშემწე კოლეჟსკი რეგისტრატორი აბულაძე დანიშნულ იქმნა პოლიციის მწერლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად ქალაქ თემირ-ხანშურაში.

ამიერ კავკასიის რკინის გზები

მალე წელიწადი შესრულდება მას შემდეგ, რაც ამიერ კავკასია შეუერთდა რკინის გზით შიდა რუსეთის გუბერნიებს. ამ რიგად შესრულებულ იქმნა ერთი დიდი საქმე: ამიერ კავკასიამ ხმელეთითაც გაიკაფა გზა და პირდაპირ მიმოსვლით დაუახლოვდა მსოფლიო ბაზარს. ამ ფაქტს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ჩვენის ქვეყნისათვის, რომელიც უკვე ჩაება მსოფლიო ვაჭრობა-მრეწველობის ფერხულში და რომლის ეკონომიურს განვითარებას კიდევ უფრო ხელს შეუწყობს რუსეთის გზებთან შეერთება.

საინტერესო მოვლენას წარმოადგენს ამიერ-კავკასიის რკინის გზის ზრდა ჩვენს ქვეყანაში! მე-60 წლების დასაწყისში, როდესაც პირველად გამოითქვა აზრი ჩვენში რკინის გზის გაყვანის შესახებ, არავის ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ამ გზას თვალსაჩინო რამ მნიშვნელობა ექმნებოდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებისთვის. გზას უფრო სტრატეგიულს როლს აკუთვნიდენ, ხოლო ეკონომიურს მნიშვნელობას თითქმის ვერ ხედავდნენ. პირველი პროექტის დამწერი, ინჟ. სტატკოვსკი, ამტკიცებდა თურმე*), რომ რკინის გზაზე ყოველ წელს გაზიდვენ 1 მილ. ფუთ საქონელს ჯარებისათვის და მხოლოდ 200 ათას ფუთს სასაქონელს კერძო ვაჭარ მრეწველთა. როგორ წარმოიდგენდა სტატკოვსკი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ამ გზით გადატან-გადმოტანილი იქმნებოდა 250 მილიონ ფუთამდე?! თავდაპირველად რკინის გზა გაყვანილ იქმნა მხოლოდ ტფილისსა და ფოთს შუა; მაგრამ მოთხოვნილებამ იმატა და ამ პატარა გზას თან და თან მიემატა ბაქოს, ბათუმის, ყარსის, ჭიათურის, ტყიბულის და ბორჯომის ნაწილები. გზამ გასჭრა ამიერ-კავკასია სიგრძე-სიგანეზე და თავისი სასარგებლო გავლენა გაავრცელა ექვს გუბერნიაზე.

რამდენიმე წლის წინად რუსეთის ეკონომიურ ლიტერატურაში დიდი კამათი იყო იმის შესახებ: რკინის გზა იწვევს მრეწველობის განვითარებას, თუ მრეწველობის განვითარებაა მიზეზი რკინის გზის გაყვანისა. ცნობილი მწერალი „ნაროდნიკების“ ბანაკისა ნიკოლოონ —ონი ამტკიცებდა, რომ რუსეთში რკინის გზის კეთება არ იყო გამოწვეული ნამდვილის საჭიროებით, რომ ეს კეთება ხელოვნური იყო და არ შეესაბამებოდა ვაჭრობა-მრეწველობის მოთხოვნილებას; ამიტომ რკინის გზების გაყვანა მეტად ძვირად დაუჯდა სახელმწიფოს და სარგებლობა ნაკლები იყოო. მისი მოწინააღმდეგენი-კი ციფრებით ამტკიცებდნენ, რომ, პირიქით, რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობამ გაუსწრო რკინის გზებს და ნამდვილი მოთხოვნილება უფრო მეტს ზრდას ითხოვს სარკინისგზო საქმეშიო. ცხოვრებამ გაამართლა მეორენი: რუსეთის ვაჭრობამ-რეწველობა უკანასკნელ 25 წელიწადში შესანიშნავად გაიზარდა და ამასთანავე მუდამ დღე ისმის ჩივილი, რომ რკინის გზები ვერ აჰდიან მოთხოვნილებას, ვერ აკმაყოფილებენ გაზრდილ მრეწველობის საჭიროებას.

ჩვენში, თუ კარგად ჩავუკვირდებით საქმეს, ნათლად დავინახავთ, რომ ეს ორი პროცესსი ერთად მიმდინარეობდა: ქვეყნის ეკონომიური მოღვაწეობა თან და თან ვითარდებოდა და ამავე დროს იზრდებოდა რკინის გზაც. მაგრამ ისიც ცხადია, რომ რკინის გზა აღვიძებდა ქვეყნის წარმოებით ძალას. სადაც რკინის გზამ გაიარა, იმ მხარემ მალე იცვალა ფერი და იწყო გაჩქარებული განვითარება.

თუ შევადარებთ რკინის-გზის მოქმედებას წლიდან წლამდე, ჩვენ გაოცებული დავრჩებით იმ ძლიერის ზრდით, რომელიც გამოიჩინა ქვეყნის მრეწველობა-ვაჭრობამ. 1871 წელს გზას საქონლიდან შემოსავალი ჰქონდა მხოლოდ 92.304 მან. ათი წლის შემდეგ, 1881 წელს, შემოსავალი იყო $2^1/_2$ მილიონზე მეტი, კიდევ 10 წლის შემდეგ, 1891 წელს, შემოსავალი უკვე ავიდა 16 მილიონამდე და ბოლოს, 1900 წელს, გზას შემოუვიდა 28.061.234 მანეთი. ზრდა საოცარია და პატარა მცირე შემოსავლიან გზიდან ამიერ კავკასიის გზა შეიქმნა 30 წლის განმავლობაში უპირველეს გზად რუსეთში... შესანიშნავია კიდევ, რომ გზა ვერ აკმაყოფილებს ზოგიერთ დარგს; მაგალითად, ნავთისა და მარგანეცის მრეწველობის მოთხოვნილება თვალსაჩინოდ აღემატება იმ ძალას, რამდენიც დაუთმო მათ რკინის გზამ. ამიტომაც საჭირო შეიქნა ნავთის მილის გაკეთება ბაქოსა და ბათუმს შუა, ხოლო მარგანეცის მრეწველნი დღე-მუდამ ჩივიან და თხოულობენ რკინის გზის მოქმედების გაძლიერებას. ნავთისა და მარგანეცის მრეწველობამ არა ჩვეულებრივი განვითარება მიიღო, მაგრამ სხვა სფერაშიაც დაეტყო ქვეყანას ზრდა. პური და სიმინდი რკინის გზის მოქმედების პირველ წლებში საზღვარ გარედ გადიოდა სულ რამდენიმე ათასი ფუთი, 1899 წელს-კი გატანილ იქმნა 7.767.962 ფუთი; ღვინო პირველ წლებში თითქმის სრულიად არ გაჰქონდათ, 1899 წელს-კი რკინის გზამ გადაზიდა 1.298.141 ფუთი; ხე-ტყესაც ნაკლებ ზიდავდა გზა პირველად, 1899 წელს-კი $2^1/_2$ მილიონ ფუთამდე იქმნა გადაზიდული სხვა და სხვა ტყის მასალა...

ამ გვარად, ჩვენმა რკინის-გზამ მეტად საპატიო მოღვაწეობა გამოიჩინა და დიდი როლი აღასრულა ჩვენის ქვეყნის ზრდა-განვითარების ისტორიაში. 30 წლის განმავლობაში ის განუწყვეტლივ იზრდებოდა და ამასთანავე აძლიერებდა ქვეყნის წარმოებით ძალებს. მაგრამ, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ რკინის-გზის ზრდის პროცესი ჯერ კიდევ შორს არის დამთავრებამდე. ამიერ კავკასიის რკინის-გზის სასარგებლო მოქმედების წრეს ჩამოშორებულია ბევრი დიდ-მნიშვნელოვანი ადგილი. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, მაგალითად, ისეთი მხარეები, როგორც კახეთი და რაჭა, დღემდის მოშორებულნი არიან რკინის გზის უმთავრეს ლიანდაგს. რაჭას კიდევ შეუძლია ისარგებლოს ტყიბულის შტოით, მაგრამ კახეთი, ეს მდიდარი და დიდი ნაწილი ჩვენის ქვეყნისა, სრულიად მოკლებულია რკინის-გზის სასარგებლო გავლენას. დიდი ხანია წამოყენებულია წინ საკითხი კახეთის რკინის-გზის გაყვანის შესახებ, მაგრამ საქმე მეტად გვიანობს და მით დიდი ვნება მოდის არა მარტო კახეთს, არამედ მთელს ჩვენს ქვეყანას... საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა რკინის-გზამ ნაკლები ყურადღება მიაქცია შტოების განვითარებას და ამიტომაც ბევრი ადგილი ჯერ კიდევ პირვანდელ პირობებშია...

ეხლა ამიერ კავკასიაში კეთდება ერევნის შტო, ბაკურიანის გზა და უნდა გაგრძელდეს ჭიათურის შტო საჩხერემდე; მაგრამ. შედარებით, ეს მცირე მუშაობაა: უფრო დიდი საქმეა—კახეთის რკინის-გზის გაყვანა და კავკასიის მთების გადაჭრა რკინის-გზით. როდესაც ეს ორი საქმე განხორციელდება და როდესაც მეტი ყურადღება მიექცევა მცირე შტოების (подъѣздные пути) კეთებას, ჩვენი რკინის-გზის მნიშვნელობა გაორკეცდება და მისი როლი ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში უფრო დიდი იქნება, ვიდრე გავლილ 30 წელიწადში.

---

*) Краткіе очерки по исторіи сооруженія и эксплоатаціи закавк. жел. дорогъ. т. 1901 г.

დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

20 ივნისი.

ნიუ-იორკი. დღევანდელ სიცხეზე მეტი არ ყოფილა არც მანხატანში, არც საუკლინში. შუაღამიდან შუადღის 3 საათამდე 62 მოკვდა მზის დაკვრისაგან. ბევრმა ფაბრიკამ შეაჩერა მუშაობა და ბევრი მაღაზია დაკეტილია. საავადმყოფოები ყველა სავსეა. თითქმის 19,000 კაცმა გაატარა წუხანდელი ღამე გარეთ. რამდენთა-ც იციან, გა-

ეროვნული

სულ 24 საათის განმავლობაში ფილადელფიაში მომკვდარა 25 და პიტსბურგში 40.

კამპენი. კრიუგერი დილით წავიდა გილბერსუმში.

ლონდონი. ლიბერალების დასის კრება უნდა მოხდეს 26 ივნისს. კრებაზე წინადადებას შემოიტანენ ნდობა გამოეცხადოს კემპბელ ბანერმანს.

სიმლა. სამთავრო სიკიმიდან მოსულ ცნობებით. ტიბეტში აფიშების საშუალებით გამოქვეყნებულია ქვრივ დედოფლისა და ჩინეთის იმპერატორისაგან ხელმოწერილი ბრძანება. ბრძანებაში გამოცხადებულია, რომ ევროპის სახელმწიფოებმა გაიმარჯვეს ჩრდილოეთ ჩინეთში; შემდეგ მოწერილობაა მფარველობა გაუწიონ მისიონერებსა და გაქრისტიანებულ ჩინელებს.

ტრომზე. ადმირალი მაკაროვი, კამანდირი, აფიცრები და „ერმაკის“ ეკიპაჟი, აგრეთვე ჩრდილოეთ ოკეანეს ექსპედიციის მონაწილენი გულითად სალამს უგზავნიან ნათესავებსა და ნაცნობებს; ყველანი კარგად არიან.

ლეიფციგი. მატყლის ვაჭარმა შვენდლერმა თავი დაიხრჩო ცვიკაუში; როგორც ფიქრობენ, შვენდლერის თავის მოკვლას კავშირი აქვს ლეიფციგის ბანკის გაკოტრებასთან.

ვარშავა. ქალაქ ნოვი დვორის ბურგომისტრმა პლიუშმა მოინდომა იჭვიანობის გამო ცოლის მოკვლა; სამჯერ ესროლა რევოლვერი ცოლს, მაგრამ ხელი შეუშალეს. იგი დაჭერილია და საქმე გადაეცა გამომძიებელს.

კალუგა. გვალვის შემდეგ 16 ივნისიდან კარგი წვიმები მოდის

ვარშავა. მენდელ ლიბერმანი, ლურუს 62,000 მანეთის მოპარვის მონაწილე, რომელიც ბერდიჩევში დაიჭირეს, მოიყვანეს ვარშავაში იგი გამოტყდა თავის დანაშაულობაში. საქმის გარჩევა პეტერბურგში იქნება·

გროდნო. დაიწყო ყველგან თიბვა, მოსავალი გვარიანია; თიბვას ხელს უშლის ხშირი წვიმები.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. 9 ივნისს დეპუტატთა პალატაში ხელმეორედ აღიძრა ლაპარაკი სამხრეთ-აფრიკის სამხედრო ბანაკებზე. ეს საგანი ძლიერ აღელვებს ინგლისის საზოგადოებას. საზოგადოების დასამშვიდებლად სამხედრო სამინისტრომ ცნობები გამოაცხადა და ამტკიცებდა, რომ ხსენებულ ბანაკებში ბურების ქალები და ბავშვები არც ისე ძლიერ სწუდებიან, როგორც ზოგი აზვიადებსო. მაგრამ მთავრობის ცნობები ხელად დაარღვიეს იმ პირებმა, რომლებსაც თავიანთ თვალით ენახათ ბანაკები. ამის შემდეგ ლიბერალური პარტიის წარმომადგენლები შეეკითხნენ სამხედრო მინისტრს: რაიმე ცვლილება მოახდინა ამ ბანაკებში, თუ არა, მისცა დედაკაცებს უფლება თავიანთ ნებით დატოვონ ხოლმე ეს ბანაკები, თუ არა? ამ რამდენიმე კვირის წინად მინისტრი დაჰპირდათ დეპუტატებს, რომ ხსენებულ შედავათს მისცემდა ბანაკებში დამწყვდეულ ბურებს. ირლანდიელი დეპუტატი დილონი ბეჯითად შეეკითხა ამის თაობაზე მინისტრს ბროდრიკს. მინისტრმა უპასუხა:

— რაც დღეს ამ საგნის თაობაზე ვსთქვი, იმაზე მეტი სათქმელი აღარა მაქვს-რა.

დილონი. იქნება, მოგაგონდეთ, რომ ასე ექვს კვირამდე იქნება მას აქეთ, რაც თქვენ დამპირდით, რომ ყოველ სამხედრო ბანაკში, სადაც ქალები და ბავშვები იქნებიან დასახლებულნი, ნება მიეცემათ, რომ თავიანთ ნებაზე წავიდნენ და მოვიდნენ ხოლმე, რომ ეს ბანაკები მხოლოდ უპატრონოდ დატოვებული დედაკაცების დახმარებისათვის იმართებაო. ეხლა მსურს, რომ ეს თქვენი დაპირება გაიმეოროთ.

ბროდრიკი ხმას არ იღებს. ისმის ყვირილი: «უპასუხეთ! უპასუხეთ!»

პალატის თავმჯდომარე აჩუმებს დეპუტატებს.

დილონი. აქ ორის თვის წინად, როცა სამხედრო ბანაკების თაობაზე შევეკითხე, მინისტრმა ამიხსნა, რომ ბანაკებში დასახლებულებს სრული ნება აქვთ, როცა უნდათ თავისუფლად წავიდნენ იქიდან და როცა ჰსურთ, დაბრუნდნენ. მე ვითხოვ, რომ მინისტრმა გაიმეოროს ეს სიტყვები.

ბროდრიკი. თავის დღეში არ მითქვამს ეგა. მე მხოლოდ იმ ბანაკზე ვსთქვი, რომელიც კაპის ახალშენშია გამართული. სწორე ცნობა ამ ბანაკის თაობაზე მქონდა იმ დროს მიღებული. დანარჩენ ბანაკებზე არავითარი ამბავი არ მომსვლოდა ჯერა და მეც, რასაკვირველია, მხოლოდ იმის თქმა შემეძლო, რაც ვიცოდი.

დილონი. ხელმეორედ ვიმეორებ, რომ ექვსი კვირის წინად მინისტრმა ბროდრიკმა ჩემ კითხვაზე სწორედ და მკაფიოდ მიპასუხა საზოგადოდ ყველა ბანაკების თაობაზე და მინისტრის მხრივ გაჩუმება და პასუხის მიუცემლობა მართებული კაცის საქციელი არაა (მინისტრის მომხრე დეპუტატები ჰყვირიან და პროტესტს აცხადებენ). ბროდრიკი მაინც პასუხს არ იძლევა.

✡ შექსპირის სამშობლოში, სტრატფორდში ამ დღეებში დეპუტატის არჩევანი მოხდა. არჩევნის წინ გაცხარებული ბრძოლა იყო გამართული. როგორც კვლავ, ეხლაც კონსერვატორებმა გაიმარჯვეს. 1895 წ კონსერვატორების კანდიდატი 1,771 ხმის უმეტესობით იყო არჩეული. 1900 წ. არჩევნებში ლიბერალებს სულაც არ მიუღიათ მონაწილეობა. ეხლანდელ არჩევნის დროს კი კონსერვატორების კანდიდატი ფორსტერი 4,775 ხმის უმეტესობით იყო არჩეული 2,977 წინააღმდეგ, ესე იგი, თავის მოწინააღმდეგეზე 1,778 მეტი ხმა მიიღო ეს მოწინააღმდეგე ლიბერალების კანდიდატი ბოლტონ კინგი მეტად ჰკიცხავდა ინგლისელებს სამხრეთ აფრიკაში ჩადენილ უდიერობისათვის და ამომრჩეველთა უმეტესობა ძლიერ გადაიკიდა.

საფრანგეთი. დიურ-სალიუსის პროცესის დროს მოწმების ჩვენებამ დაამტკიცა, რომ სამი ლიგა,— პატრიოტებისა (დერულედისა), ანტისემიტების (გერენი) და როიალისტების ახალგაზრდობისა (ბიუფე) — სრულის თანხმობით მოქმედებდაო. ნამეტნავად საინტერესო იყო გენერალი ცურლინდენის ჩვენება. გენერალმა აჩვენა, რომ გენერალმა პელიემ ორჯერ მომმართა თხოვნით—ნება მომეცით, ფელიქს-ფორის დასაფლავების შემდეგ პარიზში «პლას დე ლა ნაციონა»-ის მოედნით არ დავბრუნდეო; საბუთად პელიეს ის მოჰყავდა, რომ თუ ჯარი ამ მოედანზე გაივლის, შეიძლება უწესოება მოხდესო. რადგანაც «პლას დე ლა ნაციონ»-ზე უწესოება მზადდებოდა, დერულედმა კი არა ერთხელ გამოაცხადა, რომ ეს ამბავი იმის გარდა არავინ იცოდაო, ამიტომ პარიზის გაზეთები ჰკითხულობენ, მაშ გენერალმა პელიემ საიდან-და შეიტყოო. ცხადია,— ამბობენ გაზეთები,— რომ დერულედსა და პელიეს მოლაპარაკებული ჰქონდათ უწესოების მოხდენა, მაგრამ მერე პელიეს შეეშინდა, უარი თქვა და მონაწილეობა აღარ მიიღო.

სამხრეთ-აფრიკა. გაზ. «პტი ბლე»-ს თანამშრომელს ბურების ოფიცერ ვან-დერ-დოოსთან ბრიუსსელში საუბარი ჰქონია. ამ ოფიცერს დევეტის რაზმში უმსახურნია და ელანდსფონტეინთან ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილა; ეხლა კრიუგერთან მიდენილა სანახავად. ოფიცერი მტკიცედაა დარწმუნებული, რომ საბოლოოდ ბურების ხმალი გასჭრის უსათუოდაო. აი მისი სიტყვები:

«დევეტი მეტად ანიბალია, მაგრამ ისეთი ანიბალია, რომელიც უსათუოდ გაიმარჯვებს, რადგანაც ტრანსვაალი არ დაიღუპება, როგორც კართაგენი. ომი დიდხანს აღარ გაგრძელდება, არც 16 და 25 წელიწადს გასტანს, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ. ვეჭვობ, რომ ინგლისელებმა კიდე დიდ-ხანს, 16 ანუ 9 თვე მაინც შესძლონ ბრძოლა. დარწმუნებული ვარ, თითონ ინგლისელები მოინდომებენ ზავსა. ეს ბრძოლა ყველანაირად ძვირად დაუჯდათ, რაც კი შეეძლოთ, ყველაფერი შესწირეს ამ ომს. გინდ 500,000 ჯარის კაცი მიაშველონ, არც არას ეს უშველით. პირიქით, ეს უფრო გააადვილებს იმათ დამარცხებას: შიმშილისაგან დაიღუპებიან. ჯერ 250,000 კაცსაც ძლივს აკებენ. სასმელ-საჭმლის შოვნამ გაუჭირათ საქმე; ყველაფერს შორიდან ჰგზავნიან ყველანაირი სანოვაგე და სურსათი 1,600 მილის გზაზე უნდა გაატარონ, ამ გზას კი ჩვენ წამ და-უწუმ ვანგრევთ. ომი იმით დასრულდება, რომ ინგლისელები სამხრეთ-აფრიკას მიატოვებენ. ჩვენ გავიმარჯვებთ, ნუ გეშინიანთ!»

ავსტრ-უნგრეთი. მლადოჩეხს დეპუტატს კრამარჟს თავის ამომრჩევლების წინ სიტყვა წარმოუთქვამს. ორატორი მნიშვნელობას აძლევს იმპერატორის პრაგაში ყოფნას, მაგრამ მაინც საქმის ეხლანდელ მდგომარეობას სკეპტიკურად უყურებს. არ უნდა გვავიწყდებოდეს,—სთქვა კრამარჟმა,—რომ შეთანხმება ენების თაობაზე აქამდე გაუქმებულია და გერმანული ენა ისევ ისევ წინანდებურად სავალდებულოდაა შინაურ მმართველობაში; ამას გარდა, გერმანელთა შორის ყველაზე უძლიერეს პარტიას პან-გერმანისტები შეადგენენ, ამათ კი სრულებით არა სწადიანთ ჩვენთან შერიგება. მომავალი არჩევნები გვიჩვენებენ, თუ რამდენად გაძლიერდა ამ ბოლოს დროს ხსენებული პარტიის გავლენა. ამასთანა პირობათა შორის ძნელი მოსახერხებელია უნგრეთთან სამართლიანი კომპრომისის ჩამოგდება, რადგანაც ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ავსტრიის სამინისტროს პარლამენტში ძლიერი უმეტესობა ეყოლება, ამისათვის კი უეჭველად საჭიროა, რომ გერმანელები და ჩეხები გულწრფელად შერიგდნენ. მაგრამ გერმანელები აიღებენ ხელს თავიანთ უპირატესობაზე? ყოველ შემთხვევაში, იმ ნაირად უნდა მოვაწყოთ საქმე, რომ ჩეხების ენას თავისი უფლება დაუბრუნდეს და ამ ახალ შეთანხმებას საფუძვლად ისტორიული ფაქტები დაედოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აღმოჩნდება ისეთი მთავრობა, რომელიც შესძლებს და ამნაირად მოაწყობს საქმეს.

შეერთებული-შტატები. «დეილი ექსპრესს»-ი იტყობინება, რომ შეერთებული შტატების ხაზინის მდივნად ნამყოფი ვანდერლიპი და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონსონი ევროპიდან დაბრუნდნენო. ამ პირებმა ევროპის მრეწველობა და ვაჭრობა შეისწავლეს და დარწმუნებულან, რომ ამ მხრივ ამერიკას ძლიერ შორს გაუსწრია ევროპისათვისაო და მალე მოვესწრებით იმ დროს, როცა ნიუ-იორკი მთელი ქვეყნიერებისთვის დაჰნიშნავს სარგებლიანი ქაღალდების ფასსა, ფულის სარგებელს და სხვა ამისთანასაო. ევროპა მეტად ძველებურ ადამ-პაპის დროისებურ სისტემას მისდევს. ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის წესები, სხვებთან შედარებით, უფრო სრულია, მაგრამ მაინც ინგლისიც მეტად უკანაა ჩამორჩენილიო; თუ უნდა რომ საშიშარ მოცილე ქვეყნებს არ ჩამორჩეს, უსათუოდ ძირეულად უნდა შესცვალოს თავისი ვაჭრობისა და ფულის სისტემაო.

ესპანია. ქ. კარკაგენტში, როცა მონაზონად აღკვეცის წესს ასრულებდნენ, ერთი დამსწრე მონაზონ-ქალთაგანი მაღლა ხორაზე ავარდა და ხალხს ეძახოდა: მიშველეთ, ძალით დამიჭირეს და მონასტერში დამამწყვდიეს, როგორც ციხეშიო. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მადრიდის საზოგადოებაზე.

იტალია. ბიუჯეტის განხილვის დროს პალატაში შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯიოლიტიმ მეტად საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა: მინისტრმა მუშების მოძრაობის თაობაზე ილაპარაკა.

«სოფლის მუშათა შორის მოძრაობა,—სთქვა ჯიოლიტიმ,—მხოლოდ იტალიისათვისაა ახალი ამბავი. ეს მოძრაობა სამწუხაროა, მაგრამ მისი შეჩერება არავის არ შეუძლიან. გამოკვლევამ აღმოაჩინა, თუ რა სამწუხარო მდგომარეობაში ყოფილან იმ პროვინციის მუშები, სადაც გაფიცვები გაძლიერდა. წინად მთავრობა არავითარ დახმარებას არ უწევდა მუშებს, პირიქით, საზოგადოებათა შედგენასაც უშლიდა. ამის გამო სამუშაო ქირას ბევრ პროვინციაში დააკლდა კიდეც, იმის მაგივრად, რომ მოემატებოდა. წელს მუშების მოძრაობა მეტად ძლიერი იყო. ეჭვი არაა, მთავრობას რომ მტრულად შეეხედნა ამ მოძრაობისათვის, უსათუოდ პოლიტიკური ხასიათი მიეცემოდა. საქმის პატრონები ქირის მომატების წინააღმდეგნი არიან: ეს იმათ პირდაპირ ინტერესს შეადგენს, მაგრამ სახელმწიფოს ინტერესი სულ სხვაა. მთავრობა ნეიტრალურად უნდა იქცეოდეს საზოგადოებათა და შრომის თავისუფლება უნდა უზრუნველ-ყოფილი იყოს. მთავრობამ დაარწმუნა მუშები, რომ მათი მტერი არაა. მუშების ქცევამ დაამტკიცა, რომ იტალიის ერს თავისუფლების მოხმარება შეუძლიან. მთავრობა რომ მუშების საზოგადოებათა წინააღმდეგ მოქცეულიყო და კრებები აეკრძალა, უფრო ძლიერი უწესოება მოხდებოდა და იტალიასაც სახელი გაუტყდებოდა».

შემდეგ ჯიოლიტიმ უკვე წარდგენილი სოციალურ-პოლიტიკური პროექტები მოიხსენია და დასძინა, რომ მუშების პოლიტიკურ განვითარებისათვის უნდა ვიზრუნოთ და გადასახადების რეფორმა მოვახდინოთო. ბოლოს მინისტრმა სთქვა: «მთავრობამ რომ პროგრესის გაჩერება მოინდომოს, ამით მხოლოდ თავის სიბრმავეს დაამტკიცებს და თავის მოვალეობას კონსტიტუციისადმი დაარღვევს».

მომარცხენეთა დასმა დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა ჯიოლიტი.

ახალი ამბავი

✦ როგორც გვატყობინებენ, **ჭიათურის** ბანკის მოქმედება დაიწყება 2 ივლისიდან. პირველ ივლისს იქნება თურმე გარდახდილი ჩვეულებრივი პარაკლისი. ამბობენ, რომ ამ დღისთვის ჭიათურაში მიწვეულ იქმნებიან საკრედიტო დაწესებულებათა და ჟურნალ-გაზეთთა წარმომადგენელნი.

✦ კავკასიის გამოფენის უმთავრეს კომიტეტმა ოთხშაბათს, 20 ივნისის სხდომაზე გამოფენის **საექსპერტო კომისიის** წევრთა არჩევანი ვერ მოასწრო და გადასდვა ოთხშაბას 27 ივნისის სხდომისათვის.

✦ რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას გამოუგზავნია კავკასიის სამეურნეო სამრეწველო გამოფენის გამგე კომიტეტისთვის დიპლომები ერთი დიდისა, ორი საშუალო და 2 პატარა ვეცხლის და სამი ბრინჯაოს მედლების შესაძენად და აგრეთვე სამი ქების ფურცელი გამოფენის **საბაღოსნო განყოფილებაზე** საუკეთესო ექსპონატების დასაჯილდოვებლად.

✦ ბაქოს პოლიცმეისტერმა შეატყობინა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ შეუძლებელია გაიმართოს ბაქოში თათბირი **ბაღოსნობის მცოდნე პირთა**, რადგანაც ბაქოში არ არიან ისეთი მებაღე-სპეციალისტნი, რომელთა მიწვევა თათბირზედ შესაძლებელი იყოსო.

✦ ტფილისის **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** გამგეობა ატყობინებს კავკასიის გამოფენის გამგე-კომიტეტს, რომ, რადგანაც საზოგადოება წელს შეუდგა საბეითალო-სამკურნალოს მოსათავსებელ სახლის აგებას, ამიტომ მას არ შეუძლიან რაიმე აქტიური მონაწილეობა მიიღოს გამოფენის გამართვის საქმეში.

✦ დღეს, 22 ივნისს, საღამოს 8 საათზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში სხდომა ექნება **ტფილისის სამოქალაქო ინჟენრებს**, რომელთაც უნდა გამოიკვლიონ საკითხი, თუ რა მონაწილეობა მიიღონ კავკასიის გამოფენის სატეხნიკო განყოფილების გამართვის საქმეში.

✦ **ფოთის ქალაქის მოურავმა** ბ. ნ. ნიკოლაძემ შეატყობინა კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გამმართველ კომიტეტს, რომ ფოთის ქალაქის საბჭომ, 15 ივნისის სხდომაზე უყურადღებოდ დასტოვა გამოფენის კომიტეტის თხოვნა გამოფენის შემწეობის აღმოჩენის შესახებ, რადგანაც ქალაქს არა აქვს საკმაო საშუალებაო.

✦ კავკასიის საბეითალო ნაწილის უფროსი ბ. **რემერი** წავიდა პეტერბურგს სამსახურის საქმეებისა გამო.

✦ მიწად-მოქმედების აგრონომი ტარატინოვი ივლისის დამდეგს მიდის ამერიკაში **ბამბის მოყვანის** საქმის გასაცნობად ადგილობრივ.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრის განკარგულებით, **რუსეთიდან** გადმოსასახლე-

ბულ რუსის 20 ოკ. ხს მიუზომა ყარაიაზში სულზე სამი დესეტინა.

◆ აგრონომმა სააკოვმა დაითანხმა ალექსანდერ-ფელდის კოლონისტები, რომ საბაღოსნო სკოლის უფროს კლასის მოწაფეებმა საცდელად უწამლონ მათ ვენახებს სოკოების წინააღმდეგ მოწაფეების ხელმძღვანელი იქნება თვით სააკოვი.

◆ ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის ქალაქის თვით მმართველობას ყოველწლიური შემწეობა აღმოუჩინოს ხსენებულ საზოგადოებას.

◆ ხვალ, 23 ივნისს, ტფილისის სასამართლო პალატის სესია მიემგზავრება ქუთაისის გუბერნიაში, სადაც მას განსახილველად დანიშნული აქვს საქმე ლეჩხუმის მაზრის უფროსად ყოფილ სტატსკი სოვეტნიკის კონსტანტინე ხოსიმეს ძის აღშიბაიასი, რომელსაც, სხვათა შორის, შემდეგი ბოროტ მოქმედების ჩადენა ედება ბრალად: 1893 წელში აზარეშის გზის გასაკეთებლად საერობო ფულიდგან 1038 მან. გაფლანგვა, 1892 და 1893 წელს იმავე თანხიდგან მურსისა და ორბელის ხიდების შესაკეთებლად გადადებულ 728 მან. მითვისება და გაფლანგვა; ცაგერის და ბეგოის დარაჯებისა და ბეგოის საპყრობილეს შესანახ ხარჯად გადადებულ 720 მანეთის 1889 და 92 წლებში მითვისება და გაფლანგვა და სხვანი. ამ საქმის გარჩევის დროს პალატის სესიის სხდომაზედ დაბარებულია 90 მოწმე.

◆ დღეს, 22 ივნისს, ტფილისის ოლქის სასამართლო, სხვათა შორის, განიხილავს შემდეგ საქმეებს: კერძო საჩივარს ჯეირანაშვილისა და სხვათა, რომელნიც ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლეს უჩივიან, რომ ეჩილდიშვილთან ჩვენს საქმეს ძლიერ აგვიანებს, რაღაც მიზეზებით და არ იხილავსო; მარიამ ჯაჯანაშვილისას, რომელსაც ქურდობის ჩადენა ბრალდება, და ვაგარშაკ კრეაცევისას, რომელსაც ის ბრალდება, რომ მან ჯარის-კაცად გაწვევის თავიდან ასაცილებლად განგებ თავი დაიმახინჯა.

◆ გარიფ ალი-მაჰმედ-ალი-ოღლი სასამართლოს გარდაწყვეტილებით საპატიმროში იჯდა, მაგრამ ამ რამდენისამე ხნის წინად ბოტანიკურ ბაღში მუშაობის დროს გაიქცა ბორჩალოში, სადაც ის ერთხანს იმალებოდა. ამ რამდენისამე დღის წინად გარიფი ჩამოვიდა ტფილისში, სადაც იგი დაიჭირა პოლიციის მოხელემ ლაზარევმა და სხვებთან ერთად 3 პოლიციელის თანხლებით გაგზავნეს ცენტრალურ სატუსაღოში. ორთაჭალის ბაღთან რამდენიმე ტუსაღმა მოისურვა რამეების ყიდვა და დუქანში შევიდა, მათ თან შეჰყვნენ პოლიციელებიც. ამით ისარგებლა გარიფ-ალამ და გაიპარა. პოლიციამ აქამდე ვერ მიაგნო მის კვალს.

◆ კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია შეეკითხა ტფილისის გუბერნატორს, რამდენად მართალია, რომ ქალაქის ნაწილის მტკვარში თევზაობის ნებართვა მიეცათ მეთევზეებს.

◆ კომისიამ, რომელსაც უნდა დაეფასებინა ეკატერინენფელდის კოლონისტების-მიერ ორბელიანებისაგან შეძენილი მამული, გაათავა თავისი საქმე და ეს მამული შეუფასებიათ 500.000 მანეთად.

◆ ახალციხის მაზრის ექიმის მოხსენების მიხედვით, ხსენებული მაზრა მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაშია ერთის მხრივ ხალხის სიღარიბის გამო და მეორეს მხრივ იმიტომ, რომ ამოდენა მაზრაში მხოლოდ ორი ექიმი და ერთი ქსენონია.

◆ რადგანაც შემოუტანელი დასაფასებელი გარდასახადი ავლაბრელ მესაკუთრეებისა თან და თან იზრდება, ტფილისის ქალაქის გამგეობამ სთხოვა ადგილობრივ ბოქაულს ყველა საჭირო ზომები მიიღოს ხსენებული გადასახადის შესაკრებად.

◆ ტფილისის ქალაქის სამოსწავლო კომისიაში აღძრულია კითხვა ქალაქის სკოლებში 7 მასწავლებლის დანიშვნის შესახებ. 4 კანდიდატი უკვე დამტკიცებულია სახალხო სკოლების დირექციის მიერ, ასე რომ კიდევ დასანიშნია 3 მასწავლებელი

◆ ამ მოკლე ხანში დანიშნულია პეტრე პავლეს სასაფლაოს ეკკლესიის სამზრუნველოს სხდომა, რომელზედაც უნდა შეამოწმონ შემოსავალ გასავლის წიგნები და გამოარკვიონ ის უთანხმოება რომელიც აქ ჩამოვარდა ანგარიშის გამო.

◆ ქ. ტფილისის ეხლანდელი ფინანსიური მდგომარეობა წარმოადგენს შემდეგს სურათს: 1) დასაფასებელ გადასახადისაგან უნდა შემოსულიყო—489,567 მ., ნამდვილად კი შემოვიდა 17 ივნისამდე—117,203 მ. და აქაც 68,771 მ. ძველი შემოუტანელი გადასახადია; 2) რესტორანებისა და სამიკიტნოებისაგან უნდა შემოსულიყო 60 000 მანეთი და აქამდე შემოსულა 14.069 მ. 7 კ., 3) ცხენების გადასახადისაგან—32,700 მ., შემოვიდა—33,207 მ. 31 კ., 4) კამეჩების, ხარების და ვირების გადასახადისაგან—2,956 მ., შემოვიდა—1,444 მ., 5) ქარვასლისა და სასწორებისაგან—10,456 მ., შემოვიდა—983 მ; 6) საჯარო ვაჭრობის ხალისიგან—2679, ნამდვილათ 1101 მ., 7) ქალაქის ადგილებიდან ბაზარში—17,000 მ., შემოვიდა—8138 მ. 56 კ., 8) ქალაქის შენობის იჯარისაგან—1483 მ შემოსულა—6142 მ 9) ქალაქის ადგილებისაგან—15,823, ნამდვილათ კი—6567 მან. 4 კაპ. 10) წყლის მილისაგან—240,000 მან. შემოსულა—78,744 მან. 11) საყასბოებისაგან—67,000, ნამდვილად კი—28,572 მ. 62 კ. 12) შაშხისა და ღორის ხორცის ანალიზისაგან—11,696, შემოსულა—2641 მ. 13) ქალაქის ბაკისაგან—21,200, ნამდვილად კი—8025 მ. 23 კ. 14) წყლის მილის სახელოსნოსაგან—36,880 მ და შემოსულა—11,984 მ. და 15) დასაფასებელ გადასახადის ჯარიმებისაგან—20,400 მ., შემოსულა კი—9.483 მ.

◆ ვერის სომხების სასაფლაოს ახლო მცხოვრებთ არა ერთხელ უთხოვნიათ ქალაქის გამგეობისათვის საწყლე „ბუდკის“ დადგმის შესახებ მათ უბანში, მაგრამ გამგეობას ვერ დაუკმაყოფილებია ეს სამართლიანი თხოვნა, რადგანაც ქალაქს აქ არა აქვს საჭირო ადგილი სამაგიეროდ ძ. მაკაროვსა და თაიროვს დიდ ძალი ადგილები აქვთ ამ უბანში და 4 საჟენი მიწა ვერ გაუმეტებიათ ამ საქმისათვის.

◆ მამა დავითის სკოლის გამგემ ბ-ნმა ს. ალნიაშვილმა ამ დღეებში წარუდგინა ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას განსახილველად მისდამი რწმუნებული სკოლის მომავალ 1902 წლის ხარჯთ აღრიცხვა, საიდანაც სჩანს, რომ მამა-დავითის სკოლის მასწავლებელ მოსამსახურეებზედ ხარჯი იქნება სულ 2480 მ., ხოლო სკოლის სხვა ხარჯები 1803 მან. სულ 4283 მან

◆ გუშინ სხდომა ჰქონდა ტფილისის ქალაქის გამგეობას შესახებ ნავთლუღის იმ მიწისა (სივრცით 22 დესეტინა და 371 კვ. საჟ.), რომელსაც ედავება ქალაქის სამხედრო საინჟინერო უწყება. ქალაქის გამგეობამ განიხილა ყველა დოკუმენტები და იმ აზრს დაადგა, რომ ხსენებული ადგილი ეკუთვნის ქალაქის საძოვარ ადგილებს. ეს დადგენილება ეცნობა საინჟინერო უწყებას.

◆ მოგვივიდა სომხურ ჟურნალ „მურჩის“ მეექვსე ნომერი, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია შემდეგი წერილები: „ჩვენი ქალების მდგომარეობა“, ა. ჩილინგარიანისა; „სულით ობოლნი“, დრამა ჰაუპტმანისა, თარგ. ე. ა.; „ფრომონ უმცროსი“, ალფონს დოდესი, თარგ. ტ. ოვანისიანისა: «ბიერნსონის და იბსენის უკანასკნელი დრამები“, გ. თოფჩიანისა; „სომეხთა მწერლობა მე-XVIII საუკუნეში“, ლეოსი; „ქართველთა ცხოვრება და მათი მწერლობა“, ტ. ფირუმიანისა და სხვ.

◆ სოფ. კუხიდან (ქუთაისის მაზრა) გვატყობინებენ: „მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ უკვე დაამთავრა პარკების ყიდვა-გაყიდვის საქმე და ამ თვის დამლევს გამგეობას განზრახვა აქვს მოახდინოს წლიური კრება წარსულ წლის ოპერაციების ანგარიშის მოსასმენად და დასამტკიცებლად. სასურველი იქნება, რომ გამგეობა ადრევე გააცნობდეს ამხანაგებს საზოგადოების მოქმედებას და დაწვრილებით ანგარიშს გაზეთის საშუალებით ან ცალკე წიგნაკების დაბეჭდვით. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ამხანაგობაზე ცუდი ხმები ვრცელდება ამ ჟამად: ვითომ წარსული წლის ოპერაციებს დიდი ზარალი მიუცია და სხვა და სხვა. ხსენებულმა ამხანაგობამ წელს შედარებით ცოტა პარკები შეიძინა, რადგანაც თავიდანვე მეტად დიდძალ ფასებში მოინდომა (8 მ.) პარკების ყიდვა.«

◆ ქუთაისიდან გვწერენ: «ზოგიერთი ვაჟბატონები თეატრის კასსაში ყიდულობენ ერთად რამდენიმე ბილეთებს, გამოაქვთ გარედ და უბრალო ხალხში და მოსწავლეებში მოგებით ჰყიდიან. მაგ., თითო ბილეთზე სამ კაპ. იგებენ. ეს ვაჟბატონები თითონ თეატრში მსახურებენ—იგინი კაპელდინერების თანაშემწენი არიან. გვგონია, ვისიც რიგია, ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.“

◆ კვირას, 17 ივნისს, პოლიციის მე-5 ნაწილში პოლიციამ შეიპყრო ქალაქ გუმბრის მცხოვრები კარაპეტ ტიგრანიანცი, რომელსაც ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის მცხოვრების ბებრონ ტომჩიბიანცისათვის მოეპარა ოქროს ბეჭდები და სხვა ნივთები სულ 89 მან ღირებულობისა.

შეცდომის გასწორება. «ცნობის ფურც» მე-1501 № ში, «ჟურნალ-გაზეთებიდან»-ში, მეოთხე სვეტის ბოლოში შეცდომით დაიბეჭდა: «როგორსაც დამშეული ინგლისელების შარშანდელი სურათები ახდენდათ, უნდა იყოს: «როგორსაც დამშეულ ინდოელების» და სხვა.

პროვინცია

ქ. სიღნაღი. როგორც სხვა ქალაქებში, აგრეთვე ქ. სიღნაღშიაც იციან ყველა დარგის ხელოსნებმა და ვაჭრებმა ამქრობა. სხვათა შორის, 1891 წლიდან აქ არსებობს მეჩექმეების ამქარიც. ამქარი ირჩევს თავიანთ შორის უსტაბაშს, ორს თანაშემწეს—«ჭასახ-ყაღოს» და ერთსაც გზირს—«იგიტ-ბაშს». უსტაბაშმა უნდა განაგოს ყოველი საქმე ამქრისა. თუ ვინიცობაა, უსტაბაში ავად გახდა, ან შინ არ არის, მაშინ ჭასახ-ყაღოებს ეკითხვის ამქრის საქმე. იგიტბაშის მოვალეობაა შეატყობინოს ამქარს უსტაბაშის განკარგულება და შეჰყაროს ამქარი იქ, სადაც უბრძანებს უსტაბაში. ყველა ამქარს აქვს თავისი ნიშანი, ბაირაღი. წელიწადში ერთხელ მართავს ამქარი ეგრედ წოდებულ ამქრობას, იღებენ 1—2 მანათამდე ფულს, უიდულობენ ცხვარს, აწირვინებენ მღვდელს, შემდეგ წირვის გადიან ერთ-ერთ რომელსამე ბაღში და ქეიფობენ დაფა-ზურნა-დუდუკით სამი დღე. ამ ამქრობას ილოცება შეგირდი, რომელსაც დაუსრულდებია ხელობა, ეს დასაჯდომი ოსტატი იხდის ამქრის სასარგებლოდ 5—10 მანეთამდე, ერთ აბრეშუმის ხელსახოცს უსტაბაშისათვის და ერთს ჩითასს—იგიტ-ბაშისათვის. რომელი ოსტატიც დუქანს გამოსცვლის, ერთი მანეთი ამქრის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს. ამქრის კაცს თუ ვაჟი ეყოლა, ამქრის სასარგებლოდ ერთი მანეთი უნდა გადაიხადოს. თუ გარეშე პირი ჩაეწერა ამქარში, უნდა შემოიტანოს ამქრისავე სასარგებლოდ «იოლი»—5 მანათი. გარდა ამავებისა, შემოუდის ამქარს სხვა-და სხვა ჯარიმის ფულიც, აგრეთვე ზოგჯერ ცოტა ოდენიც მიცვალებულის ადაპიდანაც რჩება ხოლმე ფული. როგორც ჰხედავს მკითხველი, ამქარს ყოველთვის ექმნება ცოტაოდენი წვლილი. მერე რას უშვრება ამქარი ამ ფულს? რას უშვრება და ხარჯავს ისე, ცუდ-უბრალოდ და უაზროდ.

მეჩექმეების ამქარი კი ასე არ იქცევა. ეს ამქარი თუმცა სხვასავებრ ქეიფობს, მაგრამ ქეიფის გარდა არც საქველ მოქმედო საქმე ავიწყდება და ცოტაოდენ წვლილსაც ანარჩუნებს დღეობა ქეიფს. კეთილი საქმისთვის ცოტა კი არის, ბევრიც მოურჩენიათ, თუ კი ცოტაოდნად მაინც ხელ მომჭირნეობა იხმარა ამქრის თავმა. დაარსებისთანავე მეჩექმეების ამქარმა მიაქცია ყურადღება მომჭირნეობას. ზემოდ ნათქვამ შემოსავლიდან გადაანარჩუნა უსტაბაშმა ხუთი თუმანი (50 მ) ფული. მაშინ უსტაბაში იყო ა. გ. მაჯაგარიანი. ეს ფული ასესხეს ერთ თავიანთ ამქრის კაცს, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ ჩააბარა ამქარს ცხრა თუმანი (90 მ.) ამ ფულიდან ერთი თუმანი მოახმარა ამქარმა ერთ თავიანთ ამქრის კაცის მიცვალებულის დამარხვას, რამდენიმე მანეთიც შესწირა ერთ საქველ-მოქმედო საქმეს. გამოიცვალა უსტაბაშობიდან ა. გ. მაჯაგარიანი და მის მაგიერად ამოირჩია ამქარმა ს. ნასყიდაშვილი, რომელსაც გადაეცა ზემოხსენებული ამქრის ფულებიც. რა უყო ს. ნასყიდაშვილმა ფულები? ზოგი გადაუხადა ცუდ უბრალოდ ამქარს და დანარჩენი სადა აქვს, არ ვიცით. იმედია, ნასყიდაშვილი პასუხს მოგვცემს. სულ სხვას ვხედავთ ამ 1901 წელში. ამ წელს ამოირჩია ამქარმა უსტაბაშად გ. ჯანიაშვილი, რომელმაც წესისამებრ გამართა ამქრობა მაისის 27 1901 წ. ამ ამქრობაში დაილოცა 7 შეგირდი: ერთი სომეხი და ექვსი ქართველი. სუფრაზე წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა და ყველა სიტყვაში გატარებული იყო ის აზრი, რომ ამქრის ფული წარა მარად არ იფლანგებოდეს, ამქრის ფულიდან ერთი კეთილი საქმეც კეთდებოდესო. ამქარმა გადასწყვიტა გამოზარდოს თავის ხარჯით ერთი ღარიბი ხელოსნის შვილი სიღნაღის სამოქალაქო სკოლაში ეროვნების განურჩევლად. ამ წინადადებას დიდის აღტაცებით მიეგება ბ. უსტაბაში გ. ჯანიაშვილი და ამქარიც. აქვე იყო მოწვეულნი საპატიო სტუმრები. ს. მ. ამირაღოვი და სხვანი. ბბ. ს. მ. ამირაღოვმა და გ. ალიხანოვმა გარდასცეს უსტაბაშს სამ-სამი მანათი და აღუთქვეს ამქარს ყოველ წელიწადს სამ სამი მანეთი. აქვე იყო შაიშმელოვი ზ., რომელმაც აგრეთვე აღუთქვა სამი მანათი. დიდი მადლობის ღირსნი არიან ეს ბატონები ამისთანა კეთილ საქმეში დახმარებისათვის. ამათ გარდა, ყველა ამქრის კაცმა შეიწერა თვითეულად თვეში აბაზი და ამ რიგად დაგვირგვინდა ერთი კეთილი საქმე ჩვენს უკან ჩამორჩენილ ქ. სიღნაღში. სიღნაღში ითვლება ათი ამქარი: 1) ბაზაზებისა, 2) მიკიტან-ბაყლებისა, 3) დურგლებისა, 4) მჭედლებისა, 5) ხარაზებისა, 6) კიდევ ხარაზებისა, (ხარაზები ორად არიან გაყოფილნი) 7) მეწვრილმანებისა, 8) თერძებისა, (დერციკები) 9) დალაქებისა, და 10) მეჩექმებისა. აი, ბატონებო, ყველა ამქარმა რომ მიბაძოს მეჩექმეების ამქარს და თითო ამქარმა რომ თითო ყმაწვილი გამოგვიზარდოს, სწორედ მოგახსენოთ, დიდი ღვთის წყალობაა და კაი საქმე ჩვენი სიღნაღისთვის.

ამქრის კაცი.

ახალციხე. ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკს ახალციხეში სახლებზედ გაცემულს ვალში რამდენიმე სახლი დარჩა. სახლებზედ ბანკიდამ იმდენი ფული მიუციათ, რომ შემდეგ, როცა სახლები საჯარო ვაჭრობით უნდა გაეყიდნეს, ბანკისაგან გაცემულ ვალის ნახევარ ფასშიაც არ გაიყიდნენ. ზოგიერთი სახლები ისევ პატრონებს დარჩათ უფულოთ; ბანკმა ამათ თუმცა სახლი ჩამოართვა და პატრონები მხოლოდ სახლის ყარაულად დასტოვა, მაგრამ მოხდა ისეთი შემთხვევაც, რომ ბანკზედ დარჩენილ ერთ სახლს ძველი პატრონი დაეჩემა, ბანკს არც ვალი გადაუხადა და სახლი კი თვით შეინარჩუნა.

ბანკის მოხელე ახალციხეში თავის დღეში არავის უნახავს. აქ ადრე ამ ბანკს 9 სახლი ჰქონდა თავისზე დარჩენილი, ზემოხსენებულ მიზეზის გამო: ბანკს სახლებზედ დიდი ფული გაეცა, სახლებს ფულის სარგებელიც ვერ გადაეხადნა.

აი, დღესაც, ბ. სადარაძისეული სახლი, ბანკისაგან დაგირავებული 24000 მ., 8000 მ. იყიდება, მაგრამ მყიდველი არავინ არის. დღეს ახალციხეში ბანკს სამი სახლი აქვს და უნდა მოგახსენოთ, რომ სამივე ეს სახლები ცუდს მდგომარეობაშია უპატრონობის გამო. წვიმები ალპობს მათ და მშველელი არავინ არის. ერთს აქაურ სომეხს ბანკის ვალში გაყიდული სახლი

სულ მუქთად შერჩა; იგი 14 წელიწადს განაგებდა ამ სახლს და ამ 14 წლის განმავლობაში ბანკისათვის ზარალის მეტი სხვა არა უჩვენებია რა; ბანკს იმდენი ვალი მიუდის, რომ შემოსავალი ბანკის ვალის სარგებელსაც ვერ იხდიდა.

ასეთი გახლავსთ ახალციხეში ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის ვალში დარჩენილი სახლების საქმეები.

ზ—ია.

ჩვენებური ამხანაგობანი საზოგადოდ

და

სენაკის „შუამავალი" კერძოდ

ხშირად გვესმის სამდურავი ამა თუ იმ ამხანაგობისა და მათი გამგე-პატრონების შესახებ. ყოველი მხრიდან ისმის კორესპონდენტთა გოდება: აქ ამხანაგობის ავლა-დიდება ნისიად დაირიგეს ამხანაგებმა და ვალის გადახდაზე ფიქრი მეტად მიაჩნიათო; იქ გამგეს თავის თავი ნამდვილ ბოგდიხანად წარმოუდგენია, სრულებით ავიწყდება მას, რომ კოლლეგიალური დაწესებულების წარმომადგენელია და ყოველგვარ საქმეს ამხანაგობისას სხვების დაუკითხავად თავის გემოზე სჭრის და ჰკერავს, რის გამო ამხანაგობის წარმატება დიდად შეფერხდა, ის სიკვდილის პირად მიიწურა და უკანასკნელს წამებს დეფიციტებს თვლაში ათავებსო. რა თქმა უნდა, ამხანაგობის საქმეთა არევ-დარევაში ამხანაგობის გამგეობის წევრებია სავსებით პასუხის მგებელი, მაგრამ ცოტაოდენი დანაშაული რომ საზოგადოებასაც მიუძღვის, ესეც ცხადზე უცხადესია. შევადგენთ ამხანაგობას, დავუწერთ რაღაც ყოველ წესსა და რიგს მოკლებულს წესდებას, ვირჩევთ ამავე წესდების ძალით გამგეს, სარევიზიო კომისიის წევრებს, ზედამხედველ კომიტეტს და საქმე გაჩარხულად მიგვაჩნია.

ახალი თანამდებობით გაყოყოჩებული მედიდურად ბრუნდებიან თავიანთ სახლში; ამხანაგობის საქმეების მსვლელობა დიდად არავის არ აინტერესებს, გამგეს გარდა. წლიდან წლამდის არც სარევიზიო კომისიის წევრები, არც ზედამხედველი კომიტეტი, არც თითონ წევრი ამხანაგი საქმეს ახლოს არ ეკარებიან, არავის აზრადაც არ მოსდის ამხანაგობის საქმეთა მსვლელობას გაეცნოს და უკეთუ ამხანაგობას რამ საფრთხე მოელის, ამის თავიდან ასაცილებლად რაიმე ღონისძიება იხმაროს. პირიქით, თითოეული ჩვენგანი ხელს ვუშლით გამგეობას, ათასგვარი ჭორებით ძირს ვუთხრით ჩვენგანვე დაწყებულს საქმეს. საზოგადო საქმისადმი გულშემატკივარი დიოგენის ფანრით საძებარია ჩვენში და იმავ დროს თუ ამხანაგობის შესახებ რამ ძვირს მოვკარით ყური, სიამოვნებით ვიწერთ გულის ფიცარზე, იმისთვის კი არა, რომ გულახდილად შევნიშნოთ გამგეობის წევრებს, გავაფრთხილოთ, სანამ საქმე გაფუჭდებოდეს, არა, ამ შეცდომებს იმისთვის ვინახავთ, რომ წლიურს კრებაზე პრტყელ პრტყელ სიტყვებში გადმოვყაროთ ჩვენი გულის ნადები და მით გამგეობას ხალხის თვალში აბრუ გავუტეხოთ. ამგვარად, როგორც ხედავთ, გამგეობა მოკლებულია ერთის მხრით კონტროლს და მეორე მხრით ზნეობრივს დახმარებას და რაღა საკვირველია, რომ ასეთ პირობებში საქმე შეფერხდეს.

მე აზრად არ მაქვს ამ წერილით ვამართლო ამა თუ იმ კოოპერატიულ დაწესებულებათა გამგეობა და, პირიქით, ვამტკიცებ, რომ ზოგიერთ ჩვენებურ ამხანაგობათა საქმეების არევ-დარევა სავსებით უნდა დაბრალდეს ამ დაწესებულებათა გამგეობის წევრთა უთაობას და იქნება უზნეობასაც, ხოლო თუ საზოგადოების გულგრილობა აღვნიშნე აქ, ეს მარტო იმისთვის, რომ იმ პირებმა, ვინც ასეთ მოვალეობას კისრულობენ, როგორიც ამხანაგობის საქმეთა გაძღოლა არის, კარგა გაითვალისწინონ რა ძნელსა და რთულ საქმეს ჰკიდებენ ხელს, რა ძნელია ამ პირობებში მუშაობა და როცა საარჩევანო ყუთს იდგმენ, კარგათ შეუფარდონ თვისი ძალ-ღონე თვით საქმის სიძნელეს. ჩვენდა საბედნიეროდ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ყველგან ერთის თვალით არ უყურებენ ჩვენში საზოგადო საქმეს. ამ მხრით გურია დიდათ განირჩევა სხვებისგან. გურიის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალი" იმ თავიდან დიდს ყურადღებას იპყრობდა გურულებისას და თუმცა მან მოლოდინი ვერ გაგვიმართლა, მაგრამ მაინც ამ უკუღმართ ვარსკვლავზე დაბადებულს ამხანაგობას გურულები არ გაუგულ-გრილდნენ და ეხლაც ისე უმართვენ ხელს, როგორც წინად. ამის მაგალითი ამ დღეებში ვნახეთ: მოგეხსენებათ, რომ წელს გურიის ამხანაგობამ დიდი ზარალი ნახა ცალკე აბრეშუმის თესლში და ცალკე პარკის დაბალ ფასებში გაყიდვით. მერე, როგორ ფიქრობთ? გურულებმა ზურგი შეაქციეს წაბორძიკებულს ამხანაგობას და ქვა და გუნდა მიაყარეს? არა. 27 მაისს შესდგა ზედამხედველ კომიტეტისა და ოზურგეთელ ვაჭართა კრება, რომელზედაც დაადგინეს: ფულით, თუ საჭირო ვექსილებით ამხანაგობას ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინონ და მიიღონ თავის თავზე უსასყიდლოდ შრომა და ოზურგეთისა და დვაბზუის განყოფილებისათვის პარკი იყიდონ (იხ „ივერია" № 117). აი ეს მაგალითი კი ღირსია მიბაძვისა. ეხლა ვნახოთ, რა თანაგრძნობას უცხადებენ ძველი-სენაკის სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალს". რა ჭორები არ შეთხზეს ამ ამხანაგობაზე? რა ცილს არ სწამებენ თითონ გამგეობას? ზოგიერთი სულმდაბალი ქვენა ანგარიშებით გატაცებული ვაჟბატონები განზრახ ავრცელებენ ცუდ ხმებს ამხანაგობის შესახებ და ამ ხმებმა იქნამდის მიიყვანა საქმე, რომ ზოგიერთი ამხანაგთაგანი თურმე თავის საწილო ბარათის გაყიდვასაც კი შეეცადა. ნურავინ იფიქრებს, რომ ეხლანდელ გამგეობის წევრებს გამგეობაში სურდეთ დარჩენა და მიტომ ვამართლებდე იმათ და საარჩევანო ყუთისკენ გზას ვუკაფავდე. პირველსავე კრებაზე, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდება, მე მზათა ვარ ჩემის მხრით და მგონი სხვა ჩემი ამხანაგებიც, რომ ჩვენს თანამდებობაზე უარი ვთქვათ და ადგილი დავუცალოთ ამ საქმისათვის უფრო მოცლილს და მომზადებულს. თუ მაინც გამგეობას ვამართლებ მიტომ, რომ გამგეობას ჯერ სასაყვედურო არა დაუშავებია რა (საჭიროა ვიცოდეთ, რომ ეხლანდელი გამგეობა მხოლოდ ერთი წლის წინედ არჩეულია, წინედ სხვები განაგებდნენ ამხანაგობის საქმეს).

ამხანაგობამ დაიწყო მოქმედება 1897 წელს და, როგორც წარსული 1899 წლის ანგარიშიდან სჩანს, სამი წლის აპერაციებით ამხანაგობისგან მიბარებული ათი მანეთი ოცდა ერთ მანეთად აქცია. ეს ერთი სამსახური, ხოლო მეორე სიკეთეის მოიტანა, რომ პარკის ფასი შესამჩნევად ასწია. მართალია, წასული 1900 წლის ანგარიშის გამოქვეყნება ცოტათი დაგვიგვიანდა, მაგრამ ამის მიზეზი ის იყო, რომ ამხანაგობის პარკი ქუთაისის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობის გამგეს ბ. ნ. წერეთელს გავატანეთ გასასყიდლათ საზღვარ გარეთ და ანგარიში სრულად ჯერაც არ მიგვიღია, მაგრამ როგორც ბ. წერეთლის სიტყვებიდან სჩანს, ამხანაგობის პარკი ზარალით გაყიდული არ დარჩება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ შარშან პარკის მყიდველებს ერთობ ცუდი ამინდი დაუდგათ და ზოგიერთ ამხანაგობა და კერძო პირებიც კინაღამ გადააკვდა შარშანდელ ზარალს, ძველი-სენაკის ამხანაგობას უზარალოდ პარკის გაყიდვა დიდ სიმარჯვეთ უნდა დაეთვალოს. ამნაირად ძველი-სენაკის სამრეწველო ამხანაგობის გამგეობას პირველად ის დანაშაული მიუძღვის, რომ შრომის ფასს ერთ კაპეიკს არ ღებულობს და უსასყიდლოდ ემსახურება ამხანაგობას; მეორე დანაშაული მისი ის არის, რომ სამი წლის განმავლობაში ამხანაგთაგან მიბარებულს ფულს თუმანს პირის-პირი მოაგებინა და ოცდა ერთ მანეთად აქცია; მესამე დანაშაული კი ის არის, რომ პარკის ფასი შესამჩნევად ასწია და როცა სენაკის ახლო-მახლო სოფლებში პარკის ფასი ათ-თორმეტ მანეთს არ ასცილებია, ძველ-სენაკში კერძო ვაჭრებიც კი ფუთ პარკში 14—15 მანეთს იძლევიან ამ ჟამად. მაშ რა უნდათ ამხანაგობის შესახებ ძვირის მოლაპარაკეთ? რისთვის ავრცელებენ ამ ჭორებს? უეჭველია, მათ ამხანაგობა საფთხობელად გადაქცევია და ამ კეთილი-საქმის შეფერხებას ცრემლით შესთხოვენ განგებას; ან და ამ საშუალებით ჰფიქრობენ ამხანაგებს გული გაუტეხონ და წილის ბარათები შეისყიდონ მათგან ნახევარ ფასად. რა თქმა უნდა, სულმდაბალ არსებას ყოველთვის რამ ბინძური ანგარიში ამოძრავებს, მაგრამ ასეთ მეჭორეთ რომ გრძელი ფეხი არ ასხია, ნურც იმას დაივიწყებენ. ანგარიში, რომელსაც ამ დღეებში საზოგადოებას წარუდგენთ, სავსებით გამოამზევებს მათ საქციელს. თუ ზოგიერთი მხოლოდ ავ საქმეზე აგებულია და მიზნად ის გაუხდია, პირადი სარგებლობისათვის ყოველს კეთილს საქმეს ძირი გამოუთხაროს, სამაგიეროდ, ისეთი კაცებიც მოგვეპოვება, რომლებიც ყოველ კეთილ-საქმეს ხელს უწყობენ და იმას გარდა წარმატებაზე ჰფიქრობენ. ეს რომ ასე არ იყოს, ეს ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა. თუ ჩვენს ამხანაგობას მტრები ჰყავს, სამაგიეროდ მოყვრებიც მოეპოვება, რომლებიც შეძლების დაგვარად ხელს უმართვენ მას. მაგალითად, დიდი მადლობის ღირსია ბ. ირაკლი შავარდნაძე, რომელმაც შარშან 40 საწილო ბარათი გაჰყიდა და ამხანაგობას ორმოცი წევრი შესძინა. მადლობის ღირსნი არიან ამგვარივე სამსახურისათვის ბ. არსენ თოხაძე, ბ. ბიკტორ ბერიძე და გ. მინაიშვილი. დასასრულ მადლობის ღირსნი არიან ბ. ბ. ა. შურღაია და იაკობ ლომაია, რომელთაც უსასყიდლოდ იკისრეს ამხანაგობის სასწორის გაძღოლა და ამხანაგებისათვის პარკის ყიდვა შარშან და წელსაც, ხოლო რის ღირსნი არიან ისინი, რომელნიც ასეთ კეთილ საქმეს უმსგავსო ჭორებით ძირს უთხრიან, ამის გადაჭრა მკითხველისათვის მიგვინდვია.

ამხანაგობის გამგე ა. წითლიძე.

საღამოს დეპეშები

21 ივნისი.

პეტერბურგი. 20 ივნისს დიდი მთავარი გიორგის ახლად დაბადებული ასული ნინა მონათლეს.

გამოცხადდა უმაღლესი ბძანება იუნკრების სასწავლებელთა რეორგანიზაციის შესახებ.

29 ივნისს, სახემწიფო საბჭოს წევრი გენერალ-ადიუტანტი ადმირალი გრაფი ლოგინ ლოგინისძე გეიდენი გარდაიცვალა გულის ავადმყოფობისაგან.

კიევი. მაისის განმავლობაში კიევის გუბერნიაში სეტყვამ 3 ათასი დესეტინა ნათესობა გაანადგურა და წაახდინა. ზარალი 100,000 მანეთამდე ადის.

ცეტინიე გუსინის ოლქის ქრისტიანების მდგომარეობა მეტად საშიშია. ამბობენ, რომ ოსმალებმა სოფელი ბრეზოვიცა დაიჭირესო, საიდანაც ყველა ქრისტიანე მოსახლეები გარეკესო, მათ შორის დედა-კაცები და ბავშვებიცაო. გარეკილთა უმეტესი ნაწილი საზღვარზე გადავიდა და ჩერნოგორიაში წავიდაო.

ბერლინი იმპერიის კანცლერი საღამოთი ნორდერნეიში წავიდა.

კაპშტადტი. ბურების რაზმის უფროსი ფუშე, რომელიც მკვიდრთა სამფლობელოს შეესია, ვეშაპის მთებისაკენ მიდის. ინგლისელი ჯარები სდევნიან, მაგრამ საეჭვოა, რომ ტყვედ დაიჭირონ, რადგანაც ფუშეს გაშლილი ადგილი აქვს გასავლელი.

ვაშინგტონი მიწად-მოქმედების დეპარტამენტის ანგარიშში ნათქვამია, სხვათა შორის, რომ ტეხასის შტატში, სადაც ყველაზე მეტი ბამბა მოჰყავთ, ნათესობა ორი პროცენტით გაუმჯობესდაო. ალაბამაში, ჯორჯიაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კაროლინაში დიდი წვიმებისაგან ბამბი ასტყდა ყველგან და დიდად დააზარალა ნათესობა.

პეტერბურგი. „სამისიონერო მიმოხილვის" ივნისის წიგნში დაბეჭდილია შემდეგი წერილები: „გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის ახალი აღსარება: რამდენიმე შენიშვნა", ვ. სკვორცოვი.—„პასუხი სინოდის დადგენილებაზე ($^{20}/_{22}$ თებერვლის) და ამის გამო ჩემგან მიღებულ წერილებზე". ლევ. ტოლსტოი.—„მართლ-მადიდებელი ეპისკოპოსის ფიქრები გრაფ ლ. ტოლსტოის «ახალი აღსარების» წაკითხვის შემდეგ". სერგი, იამბურგის ეპისკოპოსი.—„ღია წერილი გრაფ ტოლსტოისადმი, მისი თანამოაზრედ ნამყოფისაგან, უწმინდეს სინოდის დადგენილებაზე პასუხის გამო". მ. ა. ნ—ვი და ინგლისურიდან გადმოთარგმნილი წერილი „ტოლსტოი".

პრაგა. „შევარდნების" დღესასწაულზე ნამყოფის გენერალ-ლეიტენანტის რიხტიხის წერილმა მთელი პრაგა აღტაცებაში მოიყვანა. ეს წერილი გენერალმა წასვლის დროს ქალაქის საზოგადოებას გაუგზავნა. წერილის შინაარსი ამნაირია: „სალამი ჩეხებს! მე შორეული სლავიანთა აღმოსავლეთიდან მოვსულვარ: ცივი ჩრდილოეთის მყუდრო ტყეებიდან და შავი ზღვის თვალ გადუწვდენელ მინდვრებიდან. მოველი, რათა ჩვენი, რუსების, სიყვარული დაგიმტკიცოთ და შეგატყობინოთ, რომ თქვენ შეგიძლიანთ სრული ნდობით უყუროთ რუსეთის ძლიერებას, ამასთანავე უნდა ჩაგაგონოთ, რომ თქვენ უნდა შეისწავლოთ და გაიცნოთ ეს თვალ-გადუწვდენელი რუს-სლავიანთა ქვეყანა. ამ ქვეყანაში თქვენ, ჩეხები, იპოვით ყველას, რასაც ეძებთ და რისაც იმედი გაქვთ, და იმაზე მეტსაც კი ჰპოვებთ, ვიდრე ჰფიქრობთ; ჰპოვებთ გამოულეველ ბუნებრივ სიმდიდრეს, სამუშაოს სულისა და ხელისათვის, სამეურნეო და სამრეწველო პროგრესს. მაგრამ აქვე ხალხში აღმოაჩენთ ძალასა და თვით-ცნობიერობასაც; ძლიერება და თვით-ცნობიერობა, რომელიც ნიადაგ მატულობს, დამყარებულია რწმენაზე, რომ ერის ყოველი წევრი მოვალეა ერს ემსახურებოდეს; ჩვენში ყველაფერი ხალხისათვის კეთდება. ჩვენი თვით-მპყრობელი ხელმწიფე ისევეა გამსჭვალული ხალხისადმი სიყვარულით, როგორც თავადი, მდიდარი და ღარიბი ხალხისადმი საყოველთაო სიყვარული შეადგენს ჩვენ შინაგან ძალას, ხოლო სადაც შინაგანი ძალაა, იქ მცირე საბუთი და შემთხვევაც საკმაოა, რომ ამ ძალამ თავი იჩინოს; ეს არა თუ მხოლოდ უძლეველი ფიზიკური ძალაა, არამედ ზნეობრივი ძალაცაა, რომელიც ყოველ დაჩაგრულს თანაუგრძნობს და ყოველთვის მზადაა ამ დაჩაგრულს დახმარებაც გაუწიოს. როცა რუსეთს ახლო გაიცნობთ, მხოლოდ მაშინ გაიგებთ თქვენ, ჩეხები, სადაა სლავიანთა ძლიერების ნამდვილი წყარო. წრფელის გულით მსურს, რათა ღმერთმა აალორძინოს ჩეხების ეროვნება, გააგებინოს ჩეხებს,—რა არის ერის ნამდვილი თავისუფლება, მათი თვით-ცნობიერება აღამაღლოს, გააძლიეროს მათი განათლება და ენა, და წუთისოფლის ყოველი სიკეთე უხვად მიანიჭოს, ხოლო ამას ჩეხები მაშინ მიაღწევენ, როცა მათი ვაჭრობა ადრიატიკის ზღვიდან დაწყებული წყნარე ოკეანემდე გავრცელდება. ამინ, ამინ, გეუბნევით თქვენ, გწამდეთ რუსეთის ერის ღმერთი; ძლიერია იგი: მან შექმნა ჩვენი ძლევა მოსილი სლავიანთა რუსეთი".

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою Тифлисъ, 21 Іюня 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.